



მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა - სტრატეგია

1 შესავალი

მედია წიგნიერება დინამიური კონცეფციაა, რომელიც უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ევროპასა და მთელ მსოფლიოში, ვინაიდან წარმოადგენს აუცილებელ უნარ-ჩვევას მედიის კრიტიკული ანალიზის, შეფასებისა და მედია კონტენტის შექმნისათვის, ასევე, საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობისათვის თანამედროვე სწრაფად მზარდ და მაღალ ტექნოლოგიურ სამყაროში.

ამ მხრივ, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიას (შემდგომში „კომისია“) „მაუწყებლობის შესახებ“¹ და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახე“² საქართველოს კანონებით¹² დაეკისრა ახალი უფლებამოსილებები მედია წიგნიერების განვითარების ხელშესაწყობად.

მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობის სტრატეგია ასახავს იმ სტრატეგიულ მიდგომას, რომელსაც გამოიყენებს კომისია მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობისათვის საქართველოს ყველა მოქალაქის საკეთილდღეოდ. სტრატეგიას თან ახლავს სამოქმედო გეგმა.

სტრატეგის მთავარი, ფუნდამენტური ხედვაა საჯარო სფეროში აქტიური, გაცნობიერებული და უსაფრთხო ჩართულობის კულტურის დაკვიდრების ხელშეწყობა.

პროფესიონალებთან, ჟურნალისტებთან და მედია მენეჯერებთან თანამშრომლობით, კომისია მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საზოგადოებაში ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, რომელთა საშუალებითაც ადამიანები შეძლებენ კრიტიკულად გააანალიზონ, შეაფასონ და ჰქონდეთ ინფორმირებული არჩევანის შესაძლებლობა შერჩეულ, გამოყენებულ და შექმნილ კონტენტსა თუ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

ზემოთ განხილული სტრატეგიული ხედვის განსახორციელებლად, კომისიამ დასახარამდენიმე სტრატეგიული მიზანი, რომელთა შესრულებაც შეფასდება მომავალში:

- ლიდერობის, კოორდინაციისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- საქართველოში მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობისათვის;
- მედია წიგნიერების კვლევითი პროგრამების შემუშავება და კვლევებსა და ცოდნაზე დაფუძნებული მედია წიგნიერების სტრატეგიული განვითარების ბაზის შექმნა;

¹ 2018 წლის კანონი მაუწყებლობის შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3980145>

² კანონი ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3980112>

- ცოდნისა და რესურსების გაზიარებისა და მედია წიგნიერების პარტნიორობებისა და პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;
- ციფრული მედია კონტენტსა და ტექნოლოგიებთან დაკავშირებული შესაძლებლობებისა და პოტენციური საფრთხეების შესახებ ცნობადობის ამაღლება.

კომისია დარწმუნებულია, რომ საქართველოში მედია წიგნიერების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მრავალმხრივი პარტნიორობა და მზადა ითანამშრომლოს სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით კომისიის ახალი უფლებამოსილებების შესაბამისად.

სწორად კოორდინირებული რეაგირება იქნება კრიტიკულად მნიშვნელოვანი საქართველოში მედია წიგნიერების განვითარებისთვის და მედია წიგნიერების სასწავლო და კვლევითი ცენტრის ჩამოყალიბებისათვის (შემდგომში: „ცენტრი“); ცენტრი ხელს შეუწყობს მედია წიგნიერების დარგში კვლევის ეფექტურ კოორდინაციას და საგანმანათლებლო პროექტების და პროგრამების შემუშავებას.

ამასთან, გამიზნულია, რომ საქართველოში ონლაინ პლატფორმით/ვებგვერდით მხარდაჭერილი მედია წიგნიერების ქსელის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს კომუნიკაციას და თანამშრომლობას სხვადასხვა სექტორების წარმომადგენელ მედია წიგნიერების საკითხით დაინტერესებულ პირებს შორის.

კომისია მიესალმება მედია წიგნიერების განვითარებით დაინტერესებული პირების კომენტარებსა და შენიშვნებს მოცემულ სტრატეგიასა და შესაბამის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით.

2 მედია წიგნიერება - გარემო და პოლიტიკური კონტექსტი

მედია წიგნიერების კონცეფცია არსებობს მე-20 საუკუნის დასაწყისიდან და საფუძველს იღებს მედია განათლებიდან, კონტენტის კრიტიკული ანალიზსა და მედია მესიჯის დეკონსტრუქციაზე ფოკუსირებით.

დღეს მედია წიგნიერება დინამიკური კონცეფციაა, რომელიც ვითარდება ტექნოლოგიური, სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების საპასუხოდ. მედია წიგნიერების მრავალმხრივ განმარტებას გვთავაზობს ევროპის მედია წიგნიერების ექსპერტთა ჯგუფი³:

„მედია წიგნიერება დაკავშირებულია ყველა ტექნიკურ, კოგნიტურ, სამოქალაქო და შემოქმედებით შესაძლებლობასთან, რომელიც უზრუნველყოფს მედიის ხელმისაწვდომობას, მის კრიტიკულ გააზრებასა და მასთან ინტერაქციას. ეს შესაძლებლობები გვაძლევს კრიტიკული აზროვნების და პარალელურად საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებში

³ <https://ec.europa.eu/digital-single-market/en/media-literacy>

მონაწილეობის, დემოკრატიულ პროცესებში აქტიური როლის შესრულების საშუალებას“

მედია წიგნიერების მრავალწახნაგოვანი ბუნება ასახულია მრავალი სხვადასხვა ორგანიზაციის⁴ პოლიტიკასა და ინიციატივაში⁵, რომელიც მედია წიგნიერების სხვადასხვა ასპექტებს ეხება. მაგალითად, მედია წიგნიერება გათვალისწინებულია აუდიოვიზუალური მედია მომსახურების შესახებ დირექტივაში⁶, ევროპის შემოქმედებითი მედიის პროგრამაში⁷, ერთანი ციფრული ბაზრის პოლიტიკაში⁸, ერთანი ციფრული ბაზრის სტრატეგიაში⁹, Erasmus+ სამუშაო პროგრამაში¹⁰, და ბავშვებისთვის უკეთესი ინტერნეტის¹¹ სტრატეგიაში.

კიდევ ერთი ნიშანი იმისა, რომ მედია წიგნიერება უფრო აქტუალური ხდება ევროპის პოლიტიკურ დღის წესრიგში არის მასთან დაკავშირებული ინსტრუმენტებისა და რეკომენდაციების რიცხვი. მაგალითად, ევროპის კომისიის მაღალი დონის ექსპერტთა ჯგუფის¹² (HLEG) ანგარიში მედია წიგნიერების და საინფორმაციო წიგნიერების ხელშეწყობას რეკომენდაციას უწევს, როგორც დეზინფორმაციასთან ბრძოლისა და მომხმარებლებისთვის ციფრული მედიის მოცემულობებში ნავიგაციის გამარტივების სტრატეგიის ნაწილს.

ევროპის საბჭოს 2018 წლის დოკუმენტი „ინტერნეტის ბაზრის მონაწილეების (intermediaries) შესახებ¹³“ წევრ ქვეყნებს აძლევს რეკომენდაციას „ხელი შეუწყონ ასაკობრივად და გენდერულად სენსიტიურ საკითხებთან დაკავშირებულ აქტივობებს

⁴ როგორიცაა ევროკომისია, ევროპის საბჭო (გენერალური მდივანი, მინისტრთა კომიტეტი და საპარლამენტო ასამბლეა), ევროპის აუდიოვიზუალური ობსერვატორია, ევროპის მარეგულირებელ ორგანოთა პლატფორმა და სხვა

⁵ http://www.unesco.org/fileadmin/MULTIMEDIA/HQ/CI/CI/pdf/Events/mil2016_lativa_forum_mari_sol.pdf

⁶ მუხლი 33, *Audiovisual Media Services Directive* 2010 – AVMSD, <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32010L0013&from=EN>. დირექტივის გადასინჯვისას, შეთავაზებულია ახალი დებულება წევრი-ქვეყნებისათვის ახალი პასუხისმგებლობების შეტანას, რაც გულისხმობს მედია წიგნიერების სტრატეგიის შემუშავებას

⁷ მედია წიგნიერება არის შემოქმედებითი ევროპის მედია პროგრამის მრავალი სექტორის შემართებელი ძაფი, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული მხარდაჭერის აღმოჩენას კინო-წიგნიერების ამაღლებისათვის <https://ec.europa.eu/digital-single-market/en/news/media-literacy-background-documents>

⁸ მედია წიგნიერება ნახსენებია ერთანი ციფრული ბაზრის დოკუმენტშიც, სადაც საუბარია მედია და ციფრული კულტურის მხარდაჭერაზე <https://ec.europa.eu/digital-single-market/>

⁹ ციფრული უნარ-ჩვევების განვითარება ასევე ასახულია დოკუმენტში „ციფრული საზოგადოების შექმნა“, სადაც ციფრული უნარჩვევები მკაფიოდაა ნახსენები ერთანი ციფრული ბაზრის სტრატეგიაშიც <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex:52015DC0192>

¹⁰ 2018 წლის Erasmus+ სამუშაო პროგრამა ასახავს ისეთი პროექტების მხარდაჭერის განზრახვას, რომელიც, სხვა უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციებთან ერთად, მიზნად ისახავს მედია წიგნიერების ხელშეწყობას. https://ec.europa.eu/education/sites/education/files/c-2017-5652_en.pdf

¹¹ უკეთესი ინტერნეტი ბავშვებისათვის - <https://ec.europa.eu/digital-single-market/node/286>

¹² ევროკომისიამ შექმნა მაღალი დონის ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც აკეთებს რეკომენდაციებსა და რჩევებს პოლიტიკის ინიციატივებზე ცრუ ინფორმაციის/ახალი ამბებისა და დეზინფორმაციის ონლაინ გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველად <https://ec.europa.eu/digital-single-market/en/news/final-report-high-level-expert-group-fake-news-and-online-disinformation>

¹³ რეკომენდაცია ინტერნეტ შუამავლებზე (1..5..4)

https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=0900001680790e14

მედია და საინფორმაციო წიგნიერების განვითარებისთვის, რათა ყველა მომხმარებელმა იცოდეს საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ. მედია და საინფორმაციო წიგნიერების ხელშეწყობა უნდა მოიცავდეს განათლების კომპონენტს ყველა დაინტერესებული პირის, სხვა მომხმარებლებისა და გავლენის ქვეშ მყოფი მხარეებისათვის მათი უფლებების შესახებ.“

ასევე, მედია წიგნიერება საკმაოდ ვრცლად არის გათვალისწინებული 2018 წლის ევროპის საბჭოს რეკომენდაციაში, რომელიც ეხება მედია პლურალიზმსა და მედია საკუთრების გამჭვირვალობას, თანდართული მთელი რიგი გზამკვლევებით კონკრეტულად მედია წიგნიერებას შესახებ, მათ შორისაა: საკანონმდებლო ინიციატივების წარმოდგენა მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობისთვის; კოორდინირებული ეროვნული წიგნიერების პოლიტიკის შემუშავებას წლიური და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმების საშუალებით და მოცემული მიზნებისათვის შესაბამისი რესურსების უზრუნველყოფა; მედია წიგნიერების, როგორც ყველა ასაკისა და სხვადასხვა საჭიროების მქონე ადამიანისთვის უმნიშვნელოვანეს უნარ-ჩვევად გააზრება; ყველა ტიპის მედიის დაინტერესება, რომ ხელი შეუწყონ მედია წიგნიერების განვითარებას შესაბამისი პოლიტიკის, სტრატეგიებისა და აქტივობების საშუალებით და მედიისათვის შესაბამისი მხარდაჭერის სქემების უზრუნველყოფა, ეროვნული დაფარვის მქონე მედიის და ადგილობრივი/სათემო მედიის კონკრეტული როლების გათვალისწინებით; უზრუნველყოფა, რომ დამოუკიდებელ ეროვნულ მარეგულირებელს და/ან სხვა ორგანოებს ჰქონდეთ სათანადო უფლებამოსილებები და რესურსები მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობისთვის.

2016 წელს გამოცემული ევროპის საბჭოს რეკომენდაცია ინტერნეტის თავისუფლების შესახებ¹⁴ მოუწოდებს სახელმწიფოებს უზრუნველყონ მედია და ციფრული წიგნიერების პროგრამების მომზადება იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს მომხმარებლების მიერ გაცნობიერებული გადაწყვეტილებების მიღებას და სხვების უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემას; ამავე დროს, 2014 წლის ადამიანის უფლებათა სახელმძღვანელო ინტერნეტის მომხმარებელთათვის¹⁵, რომელიც მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ, შეიცავს ორ თავს კონკრეტულად ბავშვებისა და ახალგაზრდების განათლებისა და წიგნიერების შესახებ.

3 მედია წიგნიერება - უმნიშვნელოვანესი უნარი

გასულ წლებში ჩვენ ვიხილეთ უპრეცედენტო მოვლენები მედიისა და ელექტრონული კომუნიკაციების სექტორებში. მედიის, ციფრული და სოციალური გარემოების გაერთიანება სამოქალაქო, დემოკრატიულ, კულტურულ, შემოქმედებით და სოციალურ სფეროებში საზოგადოების ჩართულობის სრულიად ახალ და ძლიერ შესაძლებლობებს

¹⁴ რეკომენდაცია CM/Rec(2016)5 მინისტრთა კომიტეტის წევრი-ქვეყნებისათვის ინტერნეტის თავისუფლების თაობაზე (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2016 წლის 13 აპრილს მინისტრთა მოადგილეების 1253-ე შეხვედრაზე)

https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectId=09000016806415fa

¹⁵ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია [CM/Rec\(2014\)6](CM/Rec(2014)6) წევრი ქვეყნებისათვის ინტერნეტის მომხმარებელთა ადამიანის უფლებების თაობაზე

ქმნის, ციფრულ და შემოქმედებით ეკონომიკაში მონაწილეობის შესაძლებლობებთან ერთად.

თუმცა, ჩნდება ახალი გამოწვევებიც, მაგალითად, მოქალაქეების სათანადო კომპეტენციითა და თავდაჯერებულობით აღჭურვის საჭიროება, რათა ამოიცნონ და კრიტიკულად შეაფასონ არასწორი ინფორმაცია, ცრუ ინფორმაცია, შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია, მიუღებელი/მავნე კონტენტი, პროპაგანდა (მათ შორის უცხოური ქვეყნებისა და წყაროებისგან, მაგალითად, რუსული პროპაგანდა), ექსტრემისტთა შეხედულებები, სიძულვილის ენა და პირადი მონაცემების დაუცველობის საფრთხეები, შედეგად, მედია წიგნიერების გაგება, მნიშვნელობა და საზოგადოებისათვის მისი სარგებლიანობის აღქმაც განვითარდა.

მიუხედავად იმისა, რომ მედია წიგნიერების ერთიანი, უნივერსალური განმარტება არ არსებობს, არსებობს საყოველთაო შეთანხმება, რომ მედია წიგნიერება სასიცოცხლო მნიშვნელობის უნარია, რომელიც უფრო და უფრო რთულ და კომპლექსურ მედია გარემოში ადამიანებს წარმატებული ნავიგაციის საშუალებას აძლევს ინფორმირებული, მედია კონტენტსა და ინფორმაციასთან დაკავშირებით გაცნობიერებული არჩევანისთვის, ასევე, საჯარო სფეროში ეფექტური და სათანადო მონაწილეობისა და კონტრიბუციისათვის. ამავე დროს, მედია წიგნიერება აძლევს ადამიანებს საშუალებას გააცნობიერონ მრავალფეროვნების და ჩართულობის მნიშვნელობა უფრო სამართლიანი და წარმომადგენლობითი საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის, მოქალაქეების შესაძლებლობით, აქტიური მონაწილეობისა და ჩართულობის შედეგად თავადვე განსაზღვრონ საკუთარი მედია გარემოს ფორმირება.

მედია წიგნიერებას არ მოაქვს მხოლოდ ინდივიდუალური სარგებელი. UNESCO¹⁶ აცხადებს, რომ მედია წიგნიერების ამაღლება „არის უმნიშვნელოვანესი ერის მშენებლობისათვის, ეკონომიკური განვითარებისათვის, ადამიანის უფლებების დაცვისათვის და კულტურული თუ ენობრივი განსხვავებებისა და სირთულეების გადალახვისათვის“.

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი გვთავაზობს მედია წიგნიერების საკმაოდ ვრცელ განმარტებას, რომელიც სასარგებლოა არა მხოლოდ სამართლებრივად, არამედ მოგვცემს მომავალში მედიასა და ტექნოლოგიებში მომხდარი ცვლილებების საპასუხოდ მედია წიგნიერების სფეროში შესაბამისი აქტივობებისა და პროგრამების განხორციელების საშუალებას. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონი მედია წიგნიერებას აღწერს შემდეგნაირად:

„¹⁹) მედია წიგნიერება - მრავალფეროვანი მედია საშუალებების და ტექნოლოგიების, ასევე ინტერნეტის ეფექტური და უსაფრთხო გამოყენების, მათი მეშვეობით ინფორმაციის შექმნის, მიღების, დამუშავებისა და გადაცემის, ინფორმაციის მიღება-გადაცემაში ინტერაქტიული მონაწილეობისა და მისი აღქმის, გაგებისა და კრიტიკული შეფასების, ასევე მედია კონტენტისა (ტელე და რადიო აუდიოვიზუალური პროდუქცია, ელექტრონული და სოციალური მედია პროდუქცია, მათ შორის, ფილმები, მუსიკალური

¹⁶ მედია და საინფორმაციო წიგნიერება: პოლიტიკისა და სტრატეგიის სახელმძღვანელო პრინციპები - <http://www.unesco.org/new/en/communication-and-information/resources/publications-and-communication-materials/publications/full-list/media-and-information-literacy-policy-and-strategy-guidelines/>

კლიპები, გამოსახულებები, ვებგვერდები და სხვ.) და მრავალფეროვანი მედია პლატფორმებისა და ტექნოლოგიების შექმნის, მათი ბუნების, გამოყენებისა და რეგულირების თაობაზე სპეციალური ცოდნისა და უნარ-ჩვევების ერთობლიობა.“

განმარტებაში მოხსენიებული უნარები და ეხმარება ადამიანებს:

- ეფექტურად მოიძიონ და გამოიყენონ მედია კონტენტი უსაფრთხოდ და სათანადოდ, კანონების შესაბამისად;
- დეტალურად გააანალიზონ და გააკეთონ გაცნობიერებული არჩევანი კონტენტის შესახებ; განასხვავონ კონტენტის სხვადასხვა სახეობა, როგორიცაა, მაგალითად, ფაქტობრივი კონტენტი, სარეკლამო კონტენტი თუ მოსაზრება;
- კრიტიკულად გააანალიზონ და შეაფასონ კონტენტი და შეძლონ ისეთი ცრუ ინფორმაციის ამოცნობა, როგორიცაა, დეზინფორმაცია (მაგალითად, პროპაგანდა), შეცდომაში შემყვანი ინფორმაცია და საზიანო ინფორმაცია (მაგალითად, სიძულვილის ენა);
- კრიტიკულად გააანალიზონ და შეაფასონ ინფორმაციის წყარო და ამოიცნონ კონტენტის შემქმნელის შესაძლო მოტივაცია;
- ესმოდეთ, რა ზეგავლენა შეიძლება იქონიოს სოციალურმა და მედია ინფრასტუქტურებმა კონტენტის ნაირსახეობაზე;
- შეძლონ არასათანადო/მავნე კონტენტის მართვა/შემცირება მათი მზრუნველობის ქვეშ მყოფი ბავშვებისა და მოწყვლადი პირებისათვის;
- ამოიცნონ, კრიტიკულად შეაფასონ და განაცხადონ არასათანადო კონტენტის, ქცევის, არაზუსტი და უსამართლო ინფორმაციის შესახებ;
- გააცნობიერონ პირადი მონაცემების ფასეულობა და მისი გამოყენების შესაძლებლობა კონტენტისა და მომსახურების მიზნობრივად შექმნისათვის;
- გამოიყენონ შესაძლებლობები სამოქალაქო, კულტურულ და დემოკრატიულ დისკურსში ჩართულობისათვის;
- შექმნან და გამოაქვეყნონ კონტენტი პასუხისმგებლიანად, ეთიკურად და ეფექტურად.

მედია წიგნიერება ასევე ასრულებს მედია რეგულირების მხარდაჭერის როლს. მარეგულირებელი ორგანოების ევროპული პლატფორმის 2017 წლის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მედია წიგნიერება დაგვეხმარება არსებული უფლებებისა და რეგულაციების შესახებ ცნობიერების ამაღლებაში; ახალი მარეგულირებელი გამოწვევების გადალახვაში; კონსტიტუციური ღირებულებების დაცვაში; და მოქალაქეებისთვის შესაძლებლობის მიცემაში, თავად მართონ საკუთარი მედია მოხმარება მარეგულირებელი მექანიზმების პარალელურად მედიის გამოყენების დასახვეწად.

4 კომისიის როლი მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობაში

მედია წიგნიერების მზარდი მნიშვნელობა აღიარებულია არა მარტო ევროპაში, არამედ მთელ მსოფლიოში. მიღებულია, რომ იგი უმნიშვნელოვანესია კრიტიკული ანალიზისათვის, შეფასებისა და მედია კონტენტის შექმნისათვის; ასევე, იგი

მნიშვნელოვანია საზოგადოების ყველა წევრის ჩართვისათვის თანამედროვე, სწრაფად მზარდ ტექნოლოგიურ გარემოში.

ამ მხრივ, “მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის¹⁷ მე-14¹ მუხლი კომისიას აკისრებს უფლებამოსილებებს მედია წიგნიერების განვითარების ხელშესაწყობად.

ეს უფლებამოსილებები მოიცავს შემდეგს:

1. მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება;
2. მედია წიგნიერების საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრის შექმნა არაკომერციული იურიდიული პირის სახით, რომელიც უზრუნველყოფს მედია წიგნიერების მდგომარეობის შეფასებას, სპეციალური საგანმანათლებლო კურსებისა და პროგრამების შექმნას პროფესიონალებისა და საზოგადოების სხვა ჯგუფებისათვის, არსებული გამოწვევების გამოვლენასა და მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანი კვლევების ჩატარებას;
3. ეროვნული მედია წიგნიერების ქსელისა და მის მხარდასაჭერად შესაძლო ვებგვერდის/პლატფორმის შექმნის ხელშეწყობა და კოორდინაცია, რაც ხელს შეუწყობს მედია წიგნიერების განვითარებას სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობის უზრუნველყოფით;
4. კომისიის ხელთ არსებული ყველა შესაძლო სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობისათვის. ეს შეიძლება მოიცავდეს ტრენინგისა და სამაუწყებლო სასწავლო-საგანმანათლებლო პროდუქტების შექმნას, სოციალური რეკლამის დამზადებასა და განთავსებას, კონფერენციების ორგანიზებას, დაინტერესებულ პირთა დისკუსიებს და სხვა მიზნობრივ ღონისძიებებს;
5. სათანადო სახსრების გამოყოფა კომისიის ბიუჯეტიდან და გრანტებისა და დაფინანსების სხვა წყაროების მოძიება მედია წიგნიერების განვითარების ხელშემწყობი პროგრამებისა და პროექტებისათვის;
6. საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მედია წიგნიერების მდგომარეობის, არსებული გამოწვევებისა და მისი განვითარების ხელშეწყობისთვის განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიშების მომზადება.

5 სტრატეგიული ხედვა

მოცემული სტრატეგიის ფუნდამენტური ხედვაა საჯარო სფეროში აქტიური, გაცნობიერებული და უსაფრთხო ჩართულობის კულტურის დამკვიდრების ხელშეწყობა.

პროფესიონალებთან, ჟურნალისტებთან და მედია მენეჯერებთან თანამშრომლობით, კომისია მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საზოგადოებაში ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, რომლის საშუალებითაც ადამიანები შეძლებენ კრიტიკულად გაანალიზონ, შეაფასონ და ჰქონდეთ ინფორმირებული არჩევანის შესაძლებლობა შერჩეულ, გამოყენებულ და შექმნილ კონტენტსა თუ ინფორმაციასთან დაკავშირებით.

¹⁷ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3980145>

6 სტრატეგიული მიზნები

ზემოთ მოყვანილი სტრატეგიული ხედვის განსახორციელებლად, კომისიამ შეიმუშავა რამდენიმე სტრატეგიული მიზანი, რომლის შესრულებაც შეფასდება მომავალში.

1. ლიდერობის, კოორდინაციისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა საქართველოში მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობისათვის

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით კომისიისთვის დაკისრებული უფლებამოსილებებისა და ვალდებულების ფარგლებში, კომისია წარუძღვება მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობისთვის გამიზნულ ღონისძიებებს საქართველოს ყველა მოქალაქის საკეთილდღეოდ; წაახალისებს და უხელმძღვანელებს ეროვნული მედია წიგნიერების ქსელის ჩამოყალიბებასა და კოორდინირებას გამჭვირვალედ.

სწორად კოორდინირებული რეაგირება იქნება კრიტიკულად მნიშვნელოვანი საქართველოში მედია წიგნიერების განვითარების წარმატებისათვის და საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრის შექმნისათვის, რაც მნიშვნელოვანი მიღწევა იქნება მედია წიგნიერების კვლევის, პროექტებისა და პროგრამების ეფექტური განხორციელებისათვის.

ამასთან, მედია წიგნიერების ქსელის შექმნა, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს ონლაინ პლატფორმის/ვებგვერდის მხარდაჭერა, საკვანძოდ მნიშვნელოვანი იქნება კოორდინაციისა და სხვადასხვა სექტორების დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციისათვის.

2 მედია წიგნიერების კვლევითი პროგრამების შემუშავება და კვლევებსა და ცოდნაზე დაფუძნებული მედია წიგნიერების სტრატეგიული განვითარების ბაზის შექმნა

მედია წიგნიერების ინდიკატორები კომპლექსური და ურთიერთდამოკიდებულია; შედეგად, შესაძლებელია, დიდ სირთულეებთან იყოს დაკავშირებული მედია წიგნიერების მდგომარეობის რაოდენობრივი მონაცემებით შეფასება.

მიუხედავად ამისა, იმისათვის რომ კომისიამ, მედია წიგნიერების საგანმანათლებლო და კვლევითმა ცენტრმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა შეძლონ მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა, აუცილებელია არსებული საჭიროებების, გამოწვევების და ნაკლოვანებების გამოვლენა და შემდეგ მიზანმიმართული ქმედება.

ამდენად, მნიშვნელოვანია, რეგულარულად ჩატარდეს რაოდენობრივი კვლევა შესაძარებელი კრიტერიუმების დასადგენად და მედია წიგნიერების გაზომვადი ელემენტების დროში ცვლილებების შესაფასებლად (როგორიცაა, საკუთრების და კომპეტენციის დონე, სახვადასხვა ტექნოლოგიების უსაფრთხო გამოყენება, უფლებების და ვალდებულებების ცოდნა). ანალოგიურად, ასევე მნიშვნელოვანია რეგულარული და მრავლისმომცველი თვისებრივი კვლევის ჩატარება მედია წიგნიერების პოტენციალის დროში ცვლილების შეფასებისათვის (კრიტიკული ანალიზი, თავდაჯერებულობა და ნდობა).

ამასთან, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტებისა და სტუდენტების ჩართვა ცენტრის კვლევით საქმიანობაში კვლევით პროექტებში მონაწილეობის სახით ან ცენტრის მხარდაჭერით, თავად ჩაატარონ საკუთარი მედია წიგნიერებასთან დაკავშირებული კვლევები.

3 ცოდნის და რესურსების გაზიარების, მედია წიგნიერების ირგვლივ პარტნიორობებისა და პროექტების განვითარების ხელშეწყობა

მედია წიგნიერების სასიცოცხლო მნიშვნელობის უნარად აღიარებით, კომისია აცნობიერებს, რომ ადამიანებს სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახის მხარდაჭერა დასჭირდებათ. ამდენად, კომისია დარწმუნებულია, რომ მედია წიგნიერების განვითარების მიღწევა შესაძლებელია პარტნიორობებით და დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით; კომისია შესარტულებს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დაკისრებულ უფლებამოსილებას „საჯარო ინსტიტუტებთან, მაუწყებლობისა და ელექტრონული კომუნიკაციების შესაბამისი ბაზრების მონაწილეებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციებთან და სხვა ორგანიზაციებთან, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებთან, უცხოურ და საერთაშორისო სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან დადოს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობის სამოქმედო გეგმის განხორციელების მიზნით“

კომისია დარწმუნებულია, რომ საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი ხელს შეუწყობს პარტნიორობების ჩამოყალიბებას, ახალი და ინოვაციური პროექტებისა თუ ინიციატივების განვითარებასა და განხორციელებას სხვადასხვა დარგების მონაწილეობით, მათ შორის:

- მედია - მაუწყებლობა, ციფრული, ბეჭდური მედია, სათემო მედია; ჟურნალისტთა ორგანიზაციები; თამაშები
- განათლება - ფორმალური განათლება; არაფორმალური განათლება და ტრენინგი; მასწავლებელთა პროფესიული საბჭოები; სკოლის საბჭოები;
- კომერციული - სარეკლამო კომპანიები და საბჭოები; კომპანიები სათანადო კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობით და ორგანიზაციები, რომლებიც დამოკიდებულია ციფრულ ტრანზაქციებზე;
- მეწარმეები და ე.წ. სტარტ-აპები - ახალგაზრდები ინოვაციური და კრეატიული მიდგომებით;
- ციფრული საშუალებები (სოციალური ქსელები, საძიებო სისტემები და სხვა);
- სამოქალაქო საზოგადოება/არასამთავრობო ორგანიზაციები - ფონდები, სათემო ჯგუფები და ქსელები;
- მთავრობა/საჯარო სექტორი - სამინისტროები და მარეგულირებელი ორგანოები ახალი მედია პროდუქტების და ტექნოლოგიების განვითარებაში; ადგილობრივი თვითმმართველობა;
- კულტურის დაწესებულებები - კინო-საბჭოები/ინსტიტუტები; მუზეუმები;

მეტიც, ახალგაზრდა თაობის მონაწილეობის გაზრდისათვის და ინოვაციური, შემოქმედებითი და ეფექტური მიდგომების შემუშავებისათვის, განვითარდება სპეციალური პროექტები ანტრეპრენიორებისთვის, განსაკუთრებით, ციფრული მედიის სფეროში, მათი „სტარტ-აპ“ იდეების მხარდაჭერისა და განხორციელების ხელშეწყობისთვის.

საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა პლატფორმისა და სივრცის უზრუნველყოფა საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებისა და პროექტების წარმოჩენისათვის, დაინტერესებულ პირებს შორის ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობისათვის.

4 ციფრული მედია კონტენტსა და ტექნოლოგიებთან დაკავშირებული შესაძლებლობებისა და პოტენციური საფრთხეების შესახებ ცნობადობის ამაღლება

კომისია აცნობიერებს, რომ მომავალი ცვლილებები მედიისა და ელექტრონული ტელეკომუნიკაციების სექტორში, სოციალურ და კულტურულ ცვლილებებთან კომბინაციაში, ზეგავლენას იქონიებს მომავალში მედია წიგნიერების განვითარების საკითხებზე. მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია დიდი სიზუსტით მომავლის განჭვრეტა, სავარაუდოა, რომ საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრის მუშობა დაინტერესებულ პირთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაერთიანებით, ხელს შეუწყობს ახალი შესაძლებლობებისა და გამოწვევების ადრეულ გამოვლენას.

ამასთან, ცენტრი ჩაატარებს სპეციალურ სასწავლო კურსებს/პროგრამებსა და ღონისძიებებს, რაც დაეხმარება კონკრეტულ ჯგუფებს, განავითარონ მედია წიგნიერების უნარ-ჩვევები პოტენციური რისკებისა და გამომწვევებისგან თავდასაცავად, და აღმოაჩინონ შესაძლებლობები დემოკრატიული, შემოქმედებითი, სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობისთვის.

7 განხორციელება

მედია წიგნიერების საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრის შექმნასთან ერთად კომისიას გააჩნია სხვადასხვა მექანიზმები ზემოთ განხილული მთავარი ხედვისა და სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. ამ მექანიზმებს შორისაა:

- უფლება, გააფორმოს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები სხვა ორგანიზაციებთან და ცენტრებთან მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობის სამოქმედო გეგმის შესასრულებლად;
- სამაუწყებლო ტრენინგებისა და სამაუწყებლო სასწავლო-საგანმანათლებლო გადაცემების შექმნა;
- სოციალური რეკლამების დამზადება და განთავსება;
- კონფერენციებისა და სხვა მიზნობრივი ღონისძიებებისთვის არსებული უნარებისა და რესურსების გამოყენება;
- მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობისთვის გამიზნული ტელე და რადიო პროდუქციის განთავსება;

- მედია წიგნიერების განვითარებისთვის განკუთვნილი პროგრამებისა თუ პროექტებისთვის სათანადო სახსრების მოზიდვის შესაძლებლობა.

მედია წიგნიერების განვითარების ხელშეწყობის სამოქმედო გეგმა ეფუძნება ზემოთ განხილულ სტრატეგიას და დეტალურად ასახავს ნაბიჯებს მის განსახორციელებლად.